

## ლითონით გამაბრებული ფარების ეპოლუცია შეა საშპარებში

ფარი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ინდივიდუალური დაცვითი საშუალებაა. ის უძველესი თავდაცვითი იარაღია, რომლის გამოყენებაც ადამიანმა აბჯარზე ბევრად ადრე დაიწყო<sup>1</sup>. ფარი იცავდა მფლობელს დისტანციური და ხელჩართული ბრძოლის იარაღისაგან. მისი ფორმა მუდმივად იცვლებოდა ტაქტიკისა და ბრძოლის მეთოდების ცვლილების კვალდაკვალ<sup>2</sup>. განსხვავდებოდა მასალაც, რომლისგანაც ფარები მზადდებოდა. ყველაზე უფრო გავრცელებული, ალბათ, ხის ფარი იყო. შეა საუკუნეების ტიპური ხის ფარი შედგებოდა ხის ფიცრებისაგან, რომლებზეც ტყავი იყო გადაკრული, ცენტრში ლითონის უმბონით<sup>3</sup> და, ხშირად, კიდევებზე ლითონის სალტით. ზურგზე მას დამაგრებული ჰქონდა სატარებელი ლვედები ხელში საჭერად და მხარზე საკიდად.

ამასთანავე, ხის ფარების გვერდით ყოველთვის არსებობდა კ.წ. დაწული ფარები, რომლებიც დრეკადი წნელებისაგან იყო დამზადებული და განსაკუთრებული პოპულარობით აზიის ვრცელ კონტინენტზე სარგებლობდა. შეა საუკუნეებში მცირე აზიასა და აღმოსავლეთ ევროპიდან ჩინეთამდე მონდოლებმა გაავრცელეს დაწული ფარის ახალი ტიპი ლითონის უმბონით, რომლის წნელები ძაფებით იყო შეკავშირებული<sup>4</sup>. მისი შემდგომი პოპულარობა XVI-XVII საუკუნეებში უკვე ოსმალთა დაპყრობებთანაა დაკავშირებული<sup>5</sup>. დაწული ფარის ამ ტიპს კალკანი ეწოდება. თურქული ტერმინი კალკანი მოდის სიტყვიდან ხალხა, რომლითაც მონდოლები ფარს აღნიშნავდნენ და რომელიც, თავის მხრივ, წარმოშობილია ზმიდან „ხალხასუნ“, რაც მოწვნას ნიშნავს<sup>6</sup>.

კალკანი წარმოადგენს 50-70 სმ დიამეტრის სპირალურად დაწულ ლერწმის ფარს, რომლის წნელებიც აბრეშუმის ძაფებითაა შეკავშირებული. ძაფი ქმნის ლამაზ ფერად დეკორს ფარზე. კალკანს ცენტრში აქვს ლითონის უმბონი, რომელიც ფარის კონსტრუქციის საფუძველია, ხშირად კი დამატებითი ლითონის კოპები. უკანა მხრიდან ფარს ქსოვილის სადები ეკვროდა, კოპებს კი საბდუჯი და საკიდი ლვედები ემაგრებოდა. უმბონის ქვეშ დარტყმის შესარბილებლად ბალიში იყო მოთავსებული. ძირითად დარტყმას ლითონის უმბონი იღებდა, საიდანაც დაცურებულს და ძალადაკარგულს, წნელები ზამბარასავით ისხლებდნენ<sup>7</sup>. კალკანი დრეკადი, მსუბუქი და სამედო ფარი იყო<sup>8</sup>. ის განსაკუთრებით უფექტური იყო ისრებისაგან თავის დასაცავად. თურქული და ირანული დაწული ფარები, თავისი მაღალი საბრძოლო თვისებების გამო, XV-XVII საუკუნეებში ცენტრალურ ევროპასა და აღმოსავლეთში ლითონის ფარზე ნაკლებად არ ფასობდა<sup>9</sup>.

მ. გორელიკი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მონდოლური პანოპლის შესწავლის საქმეში, თვლის, რომ ოქროს ურდოს ტერიტორიაზე მოხდა კალკანის შემდგომი განვითარება, რაც გამოიხატა მის გაძლიერებაში უმბონზე გადაჯვარედინებული ლითონის ორი ზოლით და კონცენტრულად დამაგრებული რკინის ლარტყებით. ამას ადასტურებს XIII-XIV საუკუნეების სამარხებიდან მოპოვებული არქეოლოგიური მასალა: ფარის ლითონის დეტალები, რომლებიც ნაკოგნია XIII საუკუნის მეორე ნახევრის ყივჩაღურ სამარხეში (დძირივეცხის I-ლი ყორდანის მე-2 სამარხი), XIV საუკუნის ადიღეურ (ვარდანეს (სოჭი), უბინსკის (კრასნოდარი) და ნოვოროსიის-

1 T. G. Koliás, *Byzantinische Waffen* (Wien, 1988), p. 88.

2 P. L. Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints: Tradition and Innovation in Byzantine Iconography (843-1261)* (Leiden, 2010), p. 208.

3 უმბონი ფარის ცენტრში დამაგრებული ლითონის ფირფიტაა, რომელიც დარტყმის მოსაგერიებლად და ხელის მეტვების დასაცავად იყო განკუთვნილი. A. N. Кирпичников, Древнерусское оружие. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв., *Археология СССР* (Ленинград, 1971), с. 34-5.

4 M. Gorelik, Oriental Armour of the Near and Middle East from the Eighth to the Fifteenth Centuries as Shown in Works of Art, in *Islamic Arms and Armour*, ed. by R. Elgood (London, 1979), p. 36; L. A. Бобров, Ю. С. Худяков, Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья, *Военное делоnomadov Северной и Центральной Азии* (Новосибирск, 2002), с. 135.

5 М. В. Горелик, Халха-калкан (монгольский щит и его дериваты), *Восток-Запад: диалог культур Евразии*, Вып. 4 (Казань, 2004), с. 188.

6 М. В. Горелик, Ранний монгольский доспех (IX – первая половина XIV в.), *Археология, этнография и антропология Монголии* (Новосибирск, 1987), с. 197; დავით ჯავახიშვილი, უბინსკის (კრასნოდარი) და ნოვოროსიის-

7 Э. Г. Аствацатурян, *Турецкое оружие* (Санкт-Петербург, 2002), с. 76; Горелик, Халха-калкан (монгольский щит и его дериваты), с. 183.

8 Бобров, Худяков, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

9 М. В. Горелик, *Оружие Древнего Востока (IV тысячелетие – IV в. до н. э.)* (Санкт-Петербург, 2003), с. 71.

յის (დნესტრის ქ.) სამარხებში და იაბლონვსკის სამარხის 69-ე უორდანში<sup>10</sup>. ფარის ასეთი ნარჩენები ცეკვაზე მრავლად კავკასიონის ქედის ჩრდილო-დასავლეთითაა ნაპოვნი.<sup>11</sup> კონცენტრული და რაღიალური ლითონის ზოლებით ფარების გამაგრება ფართოდ გავრცელდა მთელ აზიაში და მათ კვალს ვარულობთ ტიბეტურ, ქურთულ, ჩინურ და სხვა ფარებზე<sup>12</sup>.

განიხილავს რა კალკანის გენეზისს, გორელიკი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ფარის გამაგრების ეს სისტემა მონალებს სხვისგან უნდა გადმოელოთ. XIII საუკუნემდე, მონალებთა დაპყრობებამდე, აზიაში ფარის რკინის მოჭედილობა არ არსებობდა და ფარის ზედაპირს მხოლოდ პატარა ზომის დისკებით ამაგრებდნენ. ამავე დროს, ჩვენამდე მოდწეული XII-XIII საუკუნეების სკანდინავიური ხის ფარები ნორვეგიდან (გიმსეი, რიკე) და დანიიდან რაღიალურად და კონცენტრულ წრებად განლაგებული რკინის ლარტყებითაა გამაგრებული, რომელიც ძალიან პგავს აზიური ფარების გამაგრების სისტემას.<sup>13</sup> მიუხედავად ამისა, ავტორი უარყოფს სკანდინავიდან ფარის რკინის მოჭედილობის სესხების შესაძლებლობას, რადგანაც მათსა და მონალებს შორის პირდაპირი კონტაქტები არ არსებობდა, რუსებს კი, რომელთა საშუალებითაც ეს შეიძლება მომხდარიყო, თავად არ გააჩნდათ ასეთი ფარები<sup>14</sup>. გორელიკს მოჰყავს რკინის ზოლებით გამაგრებული XII-XIII საუკუნეების ეკროპული ფარების სხვა მაგალითები (ქვის კანდელაბრი წმ. პავლეს ბაზილიკიდან (რომი, 1170); ვილემ ფლანდრელის (სენტ-ომერი, 1130-75) და ნიკოლა დე რუმინის (ქვემო ლოტარინგია, 1175) საფლავის ქვები; შარტრის ვიტრაჟი (პარიზი, 1218) და სხვ.) და თვლის, რომ ფარების გამაგრების ეს სისტემა არსებობდა ევროპაში და XIII საუკუნის მეორე ნახევარში შავ ზღვაზე იტალიური ფაქტორიების მეშვეობით გავრცელდა ოქროს ურდოში და შემდეგ ილხანთა სამფლობელოებში<sup>15</sup>.

გორელიკი ასევე მიიჩნევს, რომ ქართული ფარების ერთი ჯგუფი კალკანის დერივატს წარმოადგენს. ასეთია, მისი აზრით, ლაშოხვერის მთავარანგელოზთა ეკლესიის ფრესკაზე გამოსახული ფარები, რომელთა უმბონი გადაჯვარედინებული ლითონის ზოლებითაა გამაგრებული, სვანური ფარი ჯანაშიას მუზეუმიდან, რომელსაც ის XVII-XVIII საუკუნეებს აკუთვნებს და რომლის რკინის დეტალები ოქროს ურდოს სამარხებში ნაპოვნის მსგავსია<sup>16</sup>. მისი სამართლიანი დაკვირვებით, XVII საუკუნის შემდეგ ხევსურულ და ვაინაზე ფარებში ზომის შემცირებასთან ერთად რკინის მოჭედილობა ისე ვითარდება, რომ ხის ფუძე ზედმეტი ხდება და რჩება მხოლოდ სქელი მაგარი ტყავი<sup>17</sup>.

მ. გორელიკის თეორია ლოგიკური და საინტერესოა და კარგ საფუძველს იძლევა შემდგომი ანალიზისათვის. მის მიერ მოყვანილი ნიმუშები მართლაც ბევრი რამით ჰგავს ქართულ ფარებს; განსაკუთრებით ეს ითქმის ტიბეტურ ფარებზე<sup>18</sup>, რომლებმაც, ქართული ფარების მსგავსად, დღემდე მოაღწიეს (სურ. I)<sup>19</sup>. ბუნებრივია, ასეთი მსგავსება ერთმანეთისაგან დაშორებულ ისეთ ქვეუნებს შორის, როგორიცაა ტიბეტი და საქართველო, საერთო შეხების წერტილებზე უნდა მიუთითებდეს<sup>20</sup>. სწორედ მონალებთა იმპერია უნდა ყოფილიყო ის სივრცე, სადაც ერთმანეთისაგან გეოგრაფიულად დაშორებულ ქვეუნებს ასეთი საერთო გაუჩნდებოდა, მაგრამ, მიუხედა-

<sup>10</sup> М. В. Горелик, Адыги в Южном Поднепровье (2-я половина XIII в. - 1-я половина XIV в.), *Материалы и исследования по археологии Северного Кавказа*, вып. 3 (Армавир, 2004), с. 294-296, рис. 1; Горелик, Халха-калкан (монгольский щит и его дериваты), с. 185-187, рис. 3.

<sup>11</sup> Горелик, Халха-калкан (монгольский щит и его дериваты), с. 188. დღისათვის ჩრდილო-დასავლებთ კავკასიაში უკვ 20-ზე მეტი ლითონით გადატებული ფარის დეტალებია ნაპოვნი. დაწვილებით იხ. Р.Б. Схатум, Щит в комплексе вооружения оседлых племен Северо-Западного Кавказа в золотоордынский период, *Материалы и исследования по археологии Кубани*, 3 (2003), 223-234; მისვე, Зашитное вооружение адыгов в золотоордынское время (вторая половина XIII-XIV вв.), *Военная Археология*, 2 (2011), 194-6, рис. 5, 6.

<sup>12</sup> Горелик, “Халха-калкан (монгольский щит и его дериваты),” с. 189-191.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 192, სურ. 8.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 192-193.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 193-194, სურ. 9.

<sup>16</sup> ავტორი აღნიშნავს კალკანთან შედარებით სვანური ფარის განსხვავებასაც, რომელიც ტყავგადაკრული ხეა და არა ძაფით და წნელით მოწულება. გორელიკ, Халха-калкан (монгольский щит и его дериваты), с. 188.

<sup>17</sup> იქვე, ვკ. 188-189. აქვე დაგძმატება, რომ შემდგომში ლითონის მთლიანად ჩანაცვლებს ტყავს და ვიდებთ ლითონით შეკრულ-შეჭედილ ლითონის ფარს. იხ. ქ. ჩოლოტაშვილი, ქართული საბრძოლო იარაღები: ფარი, სახელმწიფო მუზეუმის მუზებ, XVIII-B (1954), გვ. 227-228, სურ. 3.

<sup>18</sup> სურ. 1 შედარებ სურ. 2-ს და 3-ს.

<sup>19</sup> D. J. LaRocca, *Warriors of the Himalayas: Rediscovering the Arms and Armor of Tibet* (New York, 2006), pp. 14, 92-94, fig. 9, 24.

<sup>20</sup> საინტერესოა, რომ რაღიალური ლითონის სხვისგანით (რომელიც მზის სურათს ქმნის) უმთავრესად ბრტყელი ტიბეტური ფარები არის მორთული, განსხვავებით კალკანის ტიბის ტიბეტური ფარებისაგან, თუმცა ზოგიერთი გამონაკლისი აქაც გვხვდება. ბრტყელი და კალკანის ტიბის ტიბეტური ფარებისათვის იხ. LaRocca, *Warriors of the Himalayas*, p. 92; აგრეთვა, Горелик, Халха-калкан (монгольский щит и его дериваты), с. 190-191, рис. 6. ამასთან, მართებული არ ჩანს და ლითონის მოსაზრება, თითქოს, ასეთი ფარები აღილობრივი, ტიბეტური წარმოშობის იუთს. LaRocca, *Warriors of the Himalayas*, p. 92.

ვად ამისა, მაინც ვთვლი, რომ ქართული და აზიაში გავრცელებული ფარების გამაგრების სისტემის კვალი სხვაგან არის საძიებელი და ის უფრო ძველ ტრადიციაზე უნდა მეტყველებდეს.

პირველ ყოვლისა, განვიხილოთ ჩვენს ხელო არსებული ქართული ფარების ნიმუშები. ჩვენამდე მოაღწია ორმა ერთნაირმა ხის ფარმა, რომლებიც განსაკუთრებული ფორმის გამო ყოველთვის იპყრობდნენ მნახველის უურადღებას. ორივე მათგანი სვანეთიდანაა. ერთი თბილისში, საქართველოში ეროვნულ მუზეუმშია დაცული და 1925 წელს პროფ. გ. ჩიტაის მიერაა სვანეთიდან ჩამოტანილი, სადაც ის სოფ. სასაშის ეკლესიაში (დაშეხოს თემი) ინახებოდა. მაღლებისაში შენახულ ფარში ისარი იყო ჩასობილი. ეს ძველი სვანური ტრადიციის კვალია, როდესაც დღესასწაულებზე ეკლესიდან გამოჰქონდათ შეწირული ფარები და მიზანში ესროდნენ<sup>21</sup>, ხოლო ისარი იმ ეპოქაზე უნდა მიუთოებდეს, როდესაც მშვილდი ცეცხლსასროლ იარაღზე უფრო პოპულარული იყო<sup>22</sup>. ფარის ხის საფუმელებზე მოყავისფრო ფერის ტყავია გადაკრული, მისი დიამეტრი 50 სმ-ია, სისქე კი 1 სმ; ლითონის ცენტრალური დისკოს დიამეტრი 4.5 სმ-ია. ფარის ცენტრიდან სხივებად გამოდის რკინის 19 წერილი ზოლი, რომლებიც კომპოზიციურად მზის სახეს ქმნიან. რკინის სიმების რომბისებური გაგანიერებები სამხჭდლებითაა ფარზე დამატებული. თითოეულ ზოლს სამი ასეთი რომბი აქვს, რომლებიც სამ კონცენტრულ წრეს ქმნიან. ფარს კიდევებზე შემოვლებული აქვს ლითონის კოპლები. ფარის ზურგზე დამაგრებულია ლითონის საბლუჯი, რომელზეც ტყავია დახვეული (სურ. 2)<sup>23</sup>. სვანეთში, მესტიის მუზეუმში დაცული მეორე ფარი ფაქტობრივად ზემოთ აღწერილი ფარის ანალოგს წარმოადგენს, მხოლოდ ის მეტი ოსტატობითა და გულმოდგინებითაა შესრულებული: მზის სახეს აქ 19-ის ნაცვლად 38 ლითონის ზოლი ქმნის (3 მათგანი დაკარგულია), სადაც ერთმანეთს ენაცვლებიან სამსიმიანი და ერთსიმიანი ზოლები (სურ. 3).

როგორც უმავი ითქვა, მ. გორელიკი ამ ფარებს კალკანის დერივატად მიიჩნევს და მათ გავრცელებას მონაცემებს უკავშირებს. მისი მოსაზრების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ქართულ იკონოგრაფიაში გამაგრებული ფარების უფრო ადრეული ნიმუშები მოიპოვება და, ამასთან ერთად, საინტერესო კანონზომიერება და ტენდენციები შეინიშნება: X საუკუნის ფარების გამოსახულებებზე კონცენტრული წრეები არცერთხელ არ გვხვდება და მრგვალი ფარები შუაში უმბონით, სადა ზედაპირით და კიდეზე სალტით ხასიათდებიან (წმ. გიორგი და წმ. თევდორე მრავალძალის, ჩუქულის და ჩიხარეების ხატებზე, დიოკლეტიანე მრავალძალის წმ. გიორგის ხატზე) (სურ. 4). XI საუკუნეში მდგომარეობა იცვლება და ჩნდება ნუშისებური ფარები ლითონის დანაკერებით (ხილისთავის წმ. გიორგის და ბოჭორმის წმ. გიორგის ხატი) (სურ. 5)<sup>24</sup> და მრგვალი ფარები კონცენტრული წრეებით და ლითონის დანაკერებით, როგორებიცაა ლაშტხვრის, ჯახუნდერის და სეტის წმ. გიორგის ხატები (სურ. 6, 7, 8)<sup>25</sup>. სეტის ხატზე წმინდანიცა და დიოკლეტიანე აღჭურვილია დიდი ზომის მრგვალი ფარებით კონცენტრული წრეებით და რადიალური სხივებით. XII საუკუნის მურგმერის საკურთხევლისწინა ჯვარზე გამოსახულია წმ. მეორები ფარზე რადიალური სხივებით (მარცხნივ) და კონცენტრული წრეებით (მარჯვნივ) (სურ. 9)<sup>26</sup>. ორივე ამ ნიშანს კვედებით ლანჩხვანის საკურთხევლისწინა ჯვარის წმ. მხედრების ფარებზე (სურ. 10)<sup>27</sup>. XII საუკუნის წმ. გიორგის ნუშისებური ფარის უმბონზე ლითონის ლარტყებია გადაჯვარებინებული (სურ. 11), ჯრუჭის II ოთხთავის 21v მინიატურაზე კი მცველის მრგვალ ფარზე ლითონის რადიალურ სხივებს კვედავთ (სურ. 12). რადიალურად გამომავალი ლითონის სხივებით, რომლებიც გეომეტრიულ ორნამენტს ქმნიან, არის შემკული XII-XIII საუკუნეების ლაპილის წმ. დიმიტრის მრგვალი ფარი (სურ. 13)<sup>28</sup>, განსხვავებით ტიმოთესუბნის მონასტრის დასავ-

<sup>21</sup> ზოლოფაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 252.

<sup>22</sup> კ. ნადირაძე, მ. ქაფიანიძე, სვანური საბრძოლო იარაღის ისტორიიდან, სვანეთი, III (2008), გვ. 59. აგზორთა ეს მოსაზრება დამაჯერებულია და ფარების ეს კონცენტრული ნიმუშები XVI-XVII საუკუნეებით უნდა თარიღდებოდეს, ყოველ შემთხვევაში ზედა ზღვარი XVII საუკუნეს არ უნდა გასცდეს, რადგანაც XVIII საუკუნეში ჩამახიანმა ცეცხლსასროლმა იარაღმა პრაქტიკულად სრულად განდევნა მშვილდი შეიარაღებიდან; ისე რომ, როდესაც 1747 წელს ქართლ-ჯახეთის შევეებმა მშვილდით ნადირობა მოინდომეს, ეს იარაღი არავის აღმიაჩნდა. პატუნა ორბელიანი, აშბაგიშვილისაარი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, დექსიკონი და საძიებელები დაურთო ელექტროგარებულმა (თბილის, 1981), გვ. 119.

<sup>23</sup> ზოლოფაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 228; ნადირაძე, ქაფიანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

<sup>24</sup> Г. Н. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство* (Тбилиси, 1959), с. 256-259, 429-444, рис. 153, 162.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 260-262, 352-354, 330-333, სურ. 152, 188, 182.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 335.

<sup>27</sup> რიგი აღრეული ნიშნების მიუხედავად, ის XII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. იქვე, 524-525, სურ. 470, 475.

<sup>28</sup> იქვე, 261, სურ. 432.

ლეიტის მკლავის 1205-15 წლების მხატვრობისაგან, სადაც წმ. მეომრების ფარი ლითონის მარტივი ტიპის რადიალური სხივებით არის გამაგრებული (სურ. 14)<sup>29</sup>.

კინცენტრული და რადიალური ლითონის ზოლებით გამაგრებული ფარები მრავლად მოძებნება მომდევნო ეპოქის საქართველოშიც: ასეთია საფარის მონასტრის XIV საუკუნის დასაწყისის წმ. დიმიტრის ფრესკა ფარით, რომელზეც რადიალური სხივები კონცენტრულ წრებების ქმნის, ნიშანი, რომელიც დამახასიათებელია დღემდე მოღწეული სვანური ფარებისათვის (სურ. 15); ამავე საუკუნის სვიფის წმ. გიორგის (ჯგრაგის) ეკლესიის დასავლეთის კედელზე უფლის საფლავის მცველის ფარის უმბონი ჯვარედინად გადაჭედილია ლითონის ლარტყებით და კიდეზე შემოუყვება ლითონის სალტე (სურ. 16)<sup>30</sup>; XIV საუკუნის მეორე ნახევრის დავითის ნადირობის მინიატურაზე კი ვხედავთ მონადირებს მრგვალ ფარებზე რადიალური სხივებით (სურ. 17)<sup>31</sup>, რომელთა წინაპარი ადვილად შეიძლება აღმოგაჩინოთ ჯახუნდერის ხატზე. ასევე, XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე ლაშონხევრის მთავარანგელოზთა ეკლესიის ფრესკაზე წმ. დიმიტრი და ჩრდილოეთის ფასადზე ამორანდარეჯანისის გმირები გამოსახული არიან ჯვარედინად გადაჭედილი უმბონიანი ფარებით (სურ. 18, 19).

როგორც ვხედავთ, საქართველოში ლითონის ლარტყებით გამაგრებული ფარები მონდოლებამდე ბევრად ადრე ჩნდება. მაგრამ საქართველო არ ყოფილა ერთადერთი ქვეყანა, სადაც ლითონით გაძლიერებული ფარები გავრცელდა. იგივე პროცესები დროის დაახლოებით იმავე პერიოდში მიმდინარეობდა მეზობელ ბიზანტიის იმპერიაშიც<sup>32</sup>.

უნდა ითქვას, რომ რკინის დეტალებიანი ფარები უცხო არ ყოფილა ბიზანტიულებისათვის. X საუკუნეში იმპერატორი ლეონ VI თავის ტაქტიკაში ბიზანტიულთა რკინის ფარებს მოიხსენიებს.<sup>33</sup> ლეონ VI-ის ამ ცნობაზე დაყრდნობით, ბიზანტიულთა მიერ ხის ფარზე რკინის ფურცლების გადაკვრის პრაქტიკაზე მიუთითებს ტ. კოლიასთვანე<sup>34</sup>.

ბიზანტიული ფარის ლითონით გამაგრების ერთ-ერთ უადრეს ნიმუშს წარმოადგენს ვატიკანში დაცული X-XI საუკუნეების სპილოს ძლიერი ტრიპტიქი, რომლის ფრთხებზე წმ. თევდორე სტრატილატი და წმ. თევდორე ტირონი არიან გამოსახული რადიალური სხივებით დაყოფილი ფარებით (სურ. 20)<sup>35</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფარების ზედაპირის აღწერისას, პ. გროტოვსკი, სავსებით საფუძვლიანად, უშეებს, რომ გამოსახულება რეალისტურია და აქამდე უცნობი ფარის ტიპს გადმოგვცემს<sup>36</sup>. ასეთივე, უმბონიდან რადიალურად გამომავალი ლითონის სხივებიანი ფარითაა გამოსახული წმ. დიმიტრი XI საუკუნის შეუა ხანგმი წმ. თევდორეს (ტაგარი) ეკლესიაში სოფელ იეშილოზში,<sup>37</sup> რაც უკვე ჩამოყალიბებულ ფარის ტიპზე მეტყველებს (სურ. 21)<sup>38</sup>.

უმბონზე გადაჯვარედინებული ლითონის დეკორატიული ლარტყები უნდა იყოს გამოსახული წმ. იერონის მრგვალ ფარზე ტრკადი ქილისებ (კაპადოკია) XI საუკუნის ფრესკაზე (სურ. 22)<sup>39</sup> და იმპერატორის გვარდიელის ნუშისებურ ფარზე XII საუკუნის სკილიცეს 28v მინიატურაზე<sup>40</sup>.

<sup>29</sup> Е. Л. Привалова, *Роспись Тимотесубани: исследование по истории грузинской средневековой монументальной живописи* (Тбилиси, 1980), с. 112-124.

<sup>30</sup> ზემო სვანეთი: შეასაუსენგვანი კედლის მხატვრობა, ალბომის შედგენა, ტექსტი და თარგმანი მარინე ყენიასი (თბილისი, 2010), გვ. 220.

<sup>31</sup> იმავე დავითის სხვა მინიატურებზეც უმთავრესად ასეთი ფარებია გამოსახული.

<sup>32</sup> სამხედრო აღჭურვილობის დარგში ქართულ-ბიზანტიური კავშირებისათვის იხ. M. Tsurtsimia, The Evolution of Splint Armour in Georgia and Byzantium: Lamellar and Scale Armour in the 10th-12th Centuries, *Byzantina Symmeikta*, 21 (2011), pp. 65-99; მიხეივ, ტრიბილი: A Byzantine Landmine, *Byzantium*, 82 (2012), pp. 415-422. ჩვენ გაგვაჩნია მოწმობა, რომ ეს ორი მახლობელი კულტურა ერთმანეთზე გავლენას მეომრის პაროპლიის ისეთ ნაწილზეც ახდენდა, როგორიც ფარი იყო. პ. გროტოვსკის აზრით, X საუკუნის სვიდას ბიზანტიურ ენციკლოპედიაში მოხსენიებული ფარის ტიპი უკვოროს, რაც ითლად სატარებელს ნოშავს, ქართული მსუბუქი ფარიდან იღებს სათავეს. Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, p. 213, n331; “ენფორის”, *Suda On Line*, tr. Catharine Roth, 6 August 2006. <http://www.stoa.org/sol-entries//epsilon/3802>.

<sup>33</sup> The *Taktika Of Leo VI*, text, translation, and commentary by George T. Dennis (Washington, 2010), p. 75.

<sup>34</sup> Koliás, *Byzantinische Waffen*, p. 97.

<sup>35</sup> A. W. Carr, Popular Imagery, in *The Glory of Byzantium: Art and Culture of the Middle Byzantine Era A.D. 843-1261*, ed. by H. C. Evans and William D. Wixom (New York, 2006), pp. 131-132, fig. 79.

<sup>36</sup> ის კიდევ უფრო მორს მიდის, ადარებს რა ტრიპტიქის ფარებს ჯახუნდერის წმ. გიორგის ქართულ ხატს და გარება და გულშას ისლამურ მინიატურებს და მათ აღმოსავლურ წარმომავლობას ვარაუდობს. Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, p. 239, n432. აქვე შევნიშნავ, რომ ფარის აღმოსავლური წარმომობის დამადასტურებლად ვერ გამოღვება ვარება ვარებას მინიატურები, რომლებიც უფრო გვიანდელი და XIII საუკუნისაა.

<sup>37</sup> R. G. Ousterhout, *A Byzantine Settlement in Cappadocia* (Washington, 2005), p. 169.

<sup>38</sup> ჩემი გულწრფელი მაღლობა ანდრეა ბაბუქის ამ და სხვა ფოტოების უშერეველია გაზიარებისათვის.

<sup>39</sup> A. Wharton Epstein, *Tokali Kilise: Tenth-Century Metropolitan Art in Byzantine Cappadocia* (Washington, 1986), p. 61.

<sup>40</sup> V. Tsamakda, *The Illustrated Chronicle of Ioannes Skylitzes in Madrid* (Leiden, 2002), pp. 68-69, fig. 54.

კარსი ქილისე (წმ. იოანეს ეკლესია) გულშეპირში, რომელიც ავსიდის წარწერის მიხედვით 1212 წლით თარიღდება<sup>41</sup>, მორთულია ქრისტეს ცხოვრების ამსახველი სცენებით. დალატის სცენაში გამოსახული ფარი (სურ. 23)<sup>42</sup>, ისევე როგორც სკილიცეს 175r მინიატურის ფარები<sup>43</sup>, ჯახუნდერის წმ. გიორგის ხატის და H1665 დავითის მინიატურების ფარების ანალოგიურია.

ბიზანტიურ-ქართული თანამშრომლობა კიდევ უფრო დრმა და ადრეული შეიძლება იყოს. მეტროპოლიტენის მუზეუმში დაცულ ვერცხლის ლანგარზე, რომელიც 629/30 წლებში პერაკლე იმპერატორის შეკვეთით უნდა იყოს დამზადებული, დავითის და გოლიათის ორთაბრძოლა გამოსახული (სურ. 24). დავითის მარცხნივ მდგომი ჯარისკაცის ფარი მეტად ჰგავს საქართველოს ურვენული მუზუმის ერთ (N1160) ფარს (სურ. 25)<sup>44</sup>, რომელიც ტიპოლოგიურად და ტექნილოგიურად ზემოთ განხილულ სფანჯური ფარების ტიპს მიეკუთვნება<sup>45</sup>. ფარის დიამეტრია 59 სმ და წარმოადგენს ტყავგადაკრულ ხეს, რომელსაც კიდეზე ლითონის სალტე შემოუყვება, ცენტრში აქვს უმბონი, რომლიდანაც 6 მოკლე სხივი გამოიდის; ფარზე მანჭვლებით დამაგრებულია ლითონის წვრილი დეტალები, რომლებიც ყვავილოვან და ჯვრის ორნამენტს ქმნიან და კონცენტრულ წრეებად არიან ზედაპირზე განლაგებული. ფარს ზურგზეც აქვს ტყავი გადაკრული და შემორჩენილი აქვს ტყავის საბაზუჯის ნაშთი საკიდი თასმით.

ლანგარზე გამოსახული ბიზანტიული ჯარისკაცის ფარი, ალბათ, უბრალოდ მოხატულია და არა რკინის დანაკვრებით გამაგრებული, მაგრამ წვრილი ორნამენტით შექმნილი დეკორატიული მოტივი შემდგომშიც გახვდება XI-XII საუკუნეების ბიზანტიურ გამოსახულებებზე (ასეთია, მაგალითად, კარანლიკ ქილისეში (გორემე) XI საუკუნის შუა ხანების წმ. ორესტეს ფრესკა, სურ. 26) და ლითონში განხორციელებული საქართველოს მუზეუმის ფარზე ყოველივე ეს, მეტყველებს რა მათ შორის ქავშირზე, მიუთითებს დეკორატიული მოტივების მდგრადობაზე და იმაზეც, რომ ფარის თავდაპირველი დეკორატიული მოხატულობა ადგილად შეიძლება გარდაჭმილიყო ლითონის კონსტრუქციად.

ის ფატები, რომ ლითონით გამაგრებული ფარები განსაკუთრებით იყო გავრცელებული XII საუკუნის სამხრეთ ევროპაში, რასაც მ. გორელიკიც აღნიშნავს<sup>46</sup>, სხვა ფატებორებთან ერთად, ბიზანტიის იმპერიის გავლენასაც შეიძლება მიეწეროს. მაგალითისათვის შეგვიძლია მივუთითოთ XII საუკუნის ბოლო მეოთხედში სიცილიაში, მონრეალის ფატებულებზე გამოკვეთილ მეომრებზე, რომლებიც ასეთ ფარებს ატარებენ. მათ აღჭურვილობაში ბიზანტიური ელემენტების კვალი უდაგოა<sup>47</sup>.

როგორც ვხედავთ, ლითონის დეტალებით გამაგრებული ფარები თითქმის ერთდროულად გავრცელდა ბიზანტიურ-ქართულ გარემოში, რაზეც მიუთითებს XI საუკუნის ბიზანტიურ-ქართულ გამოსახულებები. რას უნდა გამოეწვია ფარის კონსტრუქციის ეს ცვლილება ბიზანტიურ თიკუმენაში?

ჩემი აზრით, რეგიონი და სამხედრო ტრადიცია, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა ბიზანტიურ სამყაროზე და გამოიწვია ფარის მოღიგიაცია, სკანდინავია იყო. მართალია, მ. გორელიკის მიერ მოყვანილი ევროპული და სკანდინავიური ფარების ყველა ნიმუში XII-XIII საუკუნეებს მიკუთვნება<sup>48</sup>, მაგრამ არსებობს უფრო ადრეული მონაცემებიც, რომელიც ჩრდილოეთ ევროპაში ფარის ლითონით გამაგრების ხანგრძლივ ტრადიციაზე მეტყველებს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგენილია, რომ ფარებზე ლითონის დეტალების დამაგრება დამახასიათებელი იყო სკანდინავიური და ძველგერმანული აღჭურვილობისათვის. VI-VII საუკუნეების ფარები ვენდელის, ვალსგარდის და სატონ ჭუს სამარხებიდან ლითონის დეტალებით არის მორთული. ზოგი მხოლოდ დეკორაციაა, მაგრამ ზოგიერთის, მაგალითად, ვალსგარდის VII სამარხის I ფარის ლითონის პორიზონტალურ ზოლებს, პ. მორტიმერი, სავსებით სამართლიანად, მიიჩნევს ფარის

<sup>41</sup> S. Suzek, The Decoration of Cave Churches in Cappadocia under Selçuk Rule (MA Thesis, University of Notre Dame, Indiana, 2008), pp. 17-20, fig. 20.

<sup>42</sup> მათი წითური თმაწვერისა და გრძელი ცულების გამო, რ. დამატო ფიქრობს, რომ ისინი ვარანგ გვარდიელებს წარმოადგენენ. R. D'Amato, *The Varangian Guard 988-1453* (Oxford, 2010), p. 12.

<sup>43</sup> Tsamakda, *The Illustrated Chronicle of Ioannes Skylitzes*, p. 213, fig. 441.

<sup>44</sup> სამუხაროდ, ფარი დეპასორტიზებულია და მისი წარმომავლობა და მუზეუმში მოხვდრის გარემოებები უცნობია.

<sup>45</sup> ამავე დროს, მისი ზედაპირის ორნამენტი, რომელსაც ლითონი ქმნის, სრულიად განსხვავებულია სვანური ფარებისაგან, სვანური სახელოსნოს ნაწარმი არ უნდა იყოს და საქართველოს სხვა რეგიონში უნდა იყოს დამზადებული.

<sup>46</sup> Горелик, Халха-калкан (монгольский щит и его дериваты), с. 193.

<sup>47</sup> იხ. D. Nicolle, The Monreale Capitals and the Military Equipment of Later Norman Sicily, *Gladius*, XV (1980), pp. 87-88, 96-97, figs. 2, 4-6, 12, 14, 20.

<sup>48</sup> Горелик, Халха-калкан (монгольский щит и его дериваты), с. 192-193, рис. 8-9.

გამაგრების სისტემად<sup>49</sup>. ასეთივე მრავლობითი ლითონის ლარტყებითაა გამაგრებული ვალსგარდის VI სამარხის I<sup>50</sup> და III ფარი<sup>51</sup>, ვალსგარდის VII სამარხის II ფარი<sup>52</sup>, ვალსგარდის VIII სამარხის I ფარი<sup>53</sup> და II ფარი<sup>54</sup> და ვენდელის XI და XII ფარები (სურ. 27)<sup>55</sup>. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში ფარის გამაგრებამ ევოლუცია განიცადა და თავდაპირველი მოუხეშავი და მძიმე კონსტრუქცია უფრო დახვეწილი და ფუნქციონალური გახდა. ამის ნიშნებს უკვე ვხედავთ VII საუკუნის შუახანების ანგლო-საქსურ ფარში თეტვორდიდან (ნორფოლკი), რომელსაც უმბონიდან გამომავალი 7 რადიალური მოკლე სხივი გააჩნია ბოლოებში გაფართოებული სამანქვლეუებით (სურ. 28)<sup>56</sup>. ვალსგარდის და ვენდელის ფარების ლარტყები ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებულნი, უმბონიდან არ გამოდიან და, მართალია, ფარის ზედაპირს აძლიერებენ, მაგრამ მის კონსტრუქციას სიმტკიცეს ვერ მატებენ, განსხვავებით თეტვორდის ფარისგან, რომლის ლითონის დანაკვრები ფარის ხის ნაწილთან ერთად ერთიან კონსტრუქციას ქმნის და ამით შეა საუკუნეების ფარების გამაგრებას მოგვაგონებს.

ლითონით ფარების გამაგრება მომდევნო საუკუნეებშიც გრძელდება, როგორც ამას ვიგებთ უძველესი სკანდინავიური კანონებიდან. XI საუკუნის ნორვეგიული (გულას და ფროსტას) კანონების მიხედვით, ხის ფარს ზედაპირზე აუცილებლად (!) უნდა ჰქონოდა, სულ მცირე, სამი გადაჯვარედინებული ლითონის ზოლი (*jarnspöng*)<sup>57</sup>.

სკანდინავიური ფარების გავრცელება ბიზანტიაში დაკავშირებული უნდა იყოს ვარანგთა გვარდიის შექმნასთან, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 988 წელს, როდესაც კიევის მთავარმა ვლადიმირმა (980-1015) იმპერატორ ბასილი II-ს (976-1025) გაუგზავნა 6000 სკანდინავი მებრძოლი<sup>58</sup>. ნორმანთა მიერ ინგლისის დაპყრობამდე, როდესაც 1070-იანი წლებიდან გვარდიაში ლტოლვილი ანგლო-საქსებიც გამოჩნდნენ<sup>59</sup>, ვარანგთა გვარდიას მირითადად სკანდინავიდან გამოსულები აკომპლექტებდნენ. როგორც ჩანს, X საუკუნის მიწურულიდან სკანდინავთა ასეთმა მასობრივმა ყოფნამ იმპერიაში პოპულარული გახდა ლითონით გამაგრებული ფარები, რამაც უკვე ფართო ასახვა პპოვა XI საუკუნის გამოსახულებებში.

რაც შეეხება ქართველებისა და სკანდინავების ურთიერთკავშირებს, იმ კონტაქტების გარდა, რომლებიც მათ აუცილებლად ექნებოდათ იმპერიის დედაქალაქში, ჩვენ ვიცით ბევრი შემთხვევა, როდესაც ქართველებს შეეძლოთ სკანდინავიური ტიპის ფარების ფეხშტურობაში დარწმუნებულიყვნენ. ბიზანტიურ არმიაში მყოფ სკანდინავებს ქართველები პირველად 989 წელს აჯანყებულ ბარდა ფოკას არმიაში ყოფნისას დაუპირისპირდნენ, როდესაც აბიდოსთან დამარცხდნენ იმპერატორთან<sup>60</sup>. შემდეგი კონფლიქტი ტაოში მოხდა, სადაც 1001 წელს ბასილი II იყო მოსული დაკით კურაპალატის მემკვიდრეობისათვის და 30 ტაოელი დაიღუპა იმპერატორის გვარდიასთან კინკლაობისას<sup>61</sup>. გაცილებით ხანგრძლივი იყო დაპირისპირება ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის 1021-22 წლებში, როდესაც გიორგი I (1014-27) ტაოს სამეფოსა და კურაპალატის მემკვიდრეობისათვის ებრძოდა ბასილი II-ს<sup>62</sup>. 1022 წელს ქართველთა დამარცხებაში დი-

<sup>49</sup> P. Mortimer, *Woden's Warriors: Warfare, Beliefs, Arms and Armour in Northern Europe during the 6th and 7th Centuries* (Little Downham, 2011), pp. 124, 132, fig. 16.

<sup>50</sup> G. Arwidsson, *Valsgärde 6* (Uppsala, 1942), pp. 35-39, figs. 6-9.

<sup>51</sup> Arwidsson, *Valsgärde 6*, pp. 40-44, fig. 11.

<sup>52</sup> Mortimer, *Woden's Warriors*, p. 130, fig. 17.

<sup>53</sup> G. Arwidsson, *Valsgärde 8* (Uppsala, 1954), pp. 53-56, figs. 31-36.

<sup>54</sup> Arwidsson, *Valsgärde 8*, pp. 57-61, figs. 37-39. მათი ნაშთები ნაპოვნია *in situ* და რეკონსტრუქცია არავითარ ეჭვს არ იწევს.

<sup>55</sup> K. G. Izikowitz, "Vendelskoldarna", *Fornvännen*, 26 (1931), pp. 182, 185, figs. 66, 70.

<sup>56</sup> V. Evison, Sugar-Loaf Shield Bosses, *The Antiquaries Journal*, 43 (1963), p. 45.

<sup>57</sup> N. Nicolaysen, *The Viking Ship Discovered at Gokstad in Norway* (Christiania, 1882), p. 33; *The Earliest Norwegian Laws: Being the Gulathing Law and the Frostathing Law*, translated from the Old Norwegian by L. M. Larson (New York, 1935), pp. 196, 320.

<sup>58</sup> S. Blöndal, *The Varangians of Byzantium*, An aspect of Byzantine military history translated, revised and rewritten by Benedikt S. Benediks (Cambridge, 1978), pp. 42-46.

<sup>59</sup> ob. J. Shepard, The English and Byzantium: A Study of Their Role in the Byzantine Army in the Later Eleventh Century, *Traditio*, 29 (1973), pp. 53-92; N. C. J. Pappas, English Refugees in the Byzantine Armed Forces: The Varangian Guard and Anglo-Saxon Ethnic Consciousness, in *De Re Militari. Books, Articles and Dissertations on Medieval Military History* (2004). [<http://www.dereemilitari.org/resources/articles/pappas1.htm>]

<sup>60</sup> *Fourteen Byzantine Rulers: The Chronographia of Michael Psellus*, translated, with an introduction, by E. R. A. Sewter (London, 1966), pp. 34-37.

<sup>61</sup> Всебицкая История Степаноса Таронского, Асоктика по прозванию, писателя XI столетия, переведена с армянского и объяснена Н. Эминым (Москва, 1864), с. 200-201; არისტაქეს დასტივერებელი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საბიქმელებით გამოსცა გ. ცაგარევშვილმა (თბილისი, 1974), გვ. 41.

<sup>62</sup> მატიანე ქართლის, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დაღენილი კველაშვილი მიხედვით ს. გაუჩინებილის მიერ, გ. I (თბილისი, 1955), გვ. 284-288; სუმბატ დავითის ძე, ცხოვრებამ და უწყებათ ბაგრატონიანთა, ტექ-

დი როლი ითამაშა ვარანგთა გვარდიამ<sup>63</sup>. XI საუკუნის შეა ხანებში კი ვარანგთა ერთი ნაწილი ბაგრატ IV-ის (1027-72) ჯარში მსახურობდა და მონაწილეობდა სასირეთის ბრძოლაში (1046), ხადაც ლიპარიტ ბაღვაშმა მეფის ჯარი დაამარცხა<sup>64</sup>. როგორც ვხედავთ, ქართველებს ხშირი კონტაქტები ჰქონდათ სკანდინავ მეომრებთან, რაც ხელს შეუწყობდა შეიარაღების გაცვლა-გამოცვლას და ლითონით გამაგრებული ფარების დამკვიდრებას საქართველოში<sup>65</sup>.

რაც შეეხება თავად კალაკანს, XVII საუკუნიდან დაწყებული ის ხშირად გვხვდება ქართულ მინიატურებსა თუ სინამდვილეში. სამეგრელოში, ლევან II დადიანის კარზე მამუკა თავაქარაშ-ვილის მიერ 1646 წელს გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ 319-ე მინიატურაზე, რომელიც მეკობრებ-თან ავთანდილის ბრძოლას ასახავს, გმირს ხელთ უყყრია დაწული კალკანი ლითონის უმბონით და დამატებითი კოპებით და კისერზე საკიდი დვედით (სურ. 29). XVII საუკუნეში კალკანის საქართველოში პოპულარობას მოწმობს რუსეთის მეფის ალექსეი მიხეილის ძისათვის (1645-76) იმერეთის მეფეთა მიერ გაგზავნილი საჩუქრები, რომელთა რიცხვში ეს ფარებიც მოიხსენიება. ალექსანდრე III-ის (1639-60) ელჩებმა 1659 წელს და ბაგრატ IV-ის (1660-81, ხანგამოშვებით) ელ-ჩებმა 1670 წელს რუსეთის მეფეს მიართვეს ოქროს, ვერცხლის და სხვადასხვაფერი აბრეშუმის ძაფებით მოწული და ფირუზის, იაგუნდის და ლალის თვლებით მორთული ლერწმის ფარები. ისინი ერთმანეთისაგან პრაქტიკულად მხოლოდ აბრეშუმის ძაფების განლაგებით განსხვავდებოდნენ, რაც სხვადასხვა სახის სურათს ქმნიდა<sup>66</sup>. იმერული კალკანების გამოსახულებები შემოგვინახა XIX საუკუნეში ფ. გ. სოლნცევის მიერ ბრწყინვალედ შესრულებულმა ფერადმა ლითოგრაფიებმა<sup>67</sup>. მართალია, ლითოგრაფიების აღწერილობაში ორივე ფარი ალექსანდრე III-ს საჩუქრადა მიჩნეული<sup>68</sup>, მაგრამ ამ აღწერილობის და მოსკოვის იარაღის პალატის აღწერის შედარების შედეგად ადგილად დადგინდა, რომ 66-ე და 67-ე ლითოგრაფიებზე (იარაღის პალატის N5065) ბაგრატის ფარია გამოსახული, 68-ზე (იარაღის პალატის N5064) კი ალექსანდრესი (სურ. 30). კალკანის საქართველოში გავრცელების შედარებით გვიანდელი თარიღი (XVII საუკუნე) და მისი არეალი (იმერეთი, სამეგრელო) გვაფიქრებინებს ეს მოვლენა ოსმალეთს დავუკავშიროთ, რომლის გავლენა ტრადიციულად ძლიერი იყო დასავლეთ საქართველოში.

საბოლოოდ, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს მუზეუმებში დაცული ლითონის ლარტყებით გამაგრებული ფარის ტიპები და მათი პარალელური გამოსახულებები კალკანის გამოჩენამდე არსებობდნენ საქართველოში და არ არიან დაკავშირებულნი მონღოლთა შემოსევებთან. ასევე, ვფიქრობ, გადაჭარბებულია იტალიური კოლონიების როლი ასეთი ფარების გაგრცელების საქმეში ჩრდილოეთ კავკასიასა და ოქროს ურდოში. როგორც ჩანს, ფარის ლითონით გამაგრების სისტემა ბიზანტიის იმპერიიდან გავრცელდა საქართველოში, შემდეგ კი კავკასიის მთიანეთის გავლით შეაღწია ჩრდილოეთ კავკასიაში (განსაკუთრებით მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში), საიდანაც აითვისეს ის ოქროს ურდოს მონღოლებმა.

## ლამოწმებული ლიტერატურა

- არისტაკეს ლასტივერტეცი, იხტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარე შვილმა (თბილისი, 1974).

<sup>63</sup> სტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ (თბილისი, 1990), გვ. 54-56; არისტაკეს ლასტივერტეცი, იხტორია, გვ. 45-46, 51-52.

<sup>64</sup> სუმბატ დავითის ძე, ცხორებამ და უწყებამ ბაგრატონიანთა, გვ. 56.

<sup>65</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 301.

<sup>66</sup> შესაძლოა, ლითონით გამაგრებული ფარების პოპულარობას, რომელიც სწორებ ქართულ ხელის დამკვიდრებამ, რომელიც სწორებ ქართულ ხელის დამკვიდრებამ. ი. მ. წურწმია, წაგრძელებული შეცის ბრძოლის წესი და ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა: ქართული გამოცდილება, სისტორია კრებული, 1 (2011), გვ. 189-193. ამ წევით ბრძოლის დროს იზრდება შუბით დარტყმის ძალა და შესაბამისად, დაწევროვნება ფარზე XI საუკუნეში ჩნდება საქართველოში ნუშისებური ფარებიც. ნ. ჩოგიაშვილი, ქართული კოხიული (VI-XIV სს.) (თბილისი, 1964), გვ. 59. ნუშისებური ფარი ბიზანტიიდან უნდა იყოს შემოსული.

<sup>67</sup> Опись Московской Оружейной палаты, часть 3, книга 2 (Москва, 1884), с. 278-282. მათი ფიზიკური მახასიათებლებიც ერთნაირი იყო: ალექსანდრე ფარის დიამეტრი 59 სმ იყო და თითქმის 2 კგ-ს იწონიდა, ბაგრატის ფარის დიამეტრი კი 58 სმ იყო და 193 კგ-ს იწონიდა. იქვე, 279, 281.

<sup>68</sup> Древности Российского государства, отделение III (Москва, 1853), с. 61-62, рис. 66-8.

<sup>69</sup> იქვე, გვ. 61.

2. ზემო სვანეთი: შუასაუკუნოვანი კედლის მხატვრობა, ალბომის შედგენა, ტექსტი და თარგმანი მ. ყენიასი (თბილისი, 2010).
3. ძატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი უკლა მირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხესიშვილის მიერ, ტომი I (თბილისი, 1955).
4. ე. ნადირაძე, მ. ქაფიანიძე, სვანური საბრძოლო იარაღის ისტორიიდან. სვანეთი, III (2008).
5. პაპუნა ორბეგიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელები დაურთო ელ. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1981).
6. სუმბატ დავითის ძე, ცხოვრებად და უწყებად ბაგრატიონითა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. არახამიამ (თბილისი, 1990).
7. კ. ჩოლოვაშვილი, ქართული საბრძოლო იარაღები: ფარი, სახელმწიფო მუზეუმის მოამბჯ, XVIII-B (1954).
8. 6. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი (VI-XIV ს.)(თბილისი, 1964).
9. მ. წურწუმია, ფირფიტოვანი აბჯრის ეკოლუცია საქართველოსა და ბიზანტიაში: ლამელარული და ქერცლოვანი აბჯარი X-XII საუკუნეებში, ქართველოლოვა, 1 (2010).
10. მ. წურწუმია, ტიბილის: ბიზანტიური „ნაღმი“, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბჯ, 2 (2011).
11. მ. წურწუმია, წაგრძელებული შეტყით ბრძოლის წესი და ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა: ქართული გამოცდილება, საისტორიო კრებული, 1 (2011).
12. D'Amato R., *The Varangian Guard 988-1453* (Oxford, 2010).
13. Arwidsson G., *Valsgärde 6.* Uppsala (1942).
14. Arwidsson G., *Valsgärde 8.* Uppsala (1954).
15. Blöndal S., *The Varangians of Byzantium*, An aspect of Byzantine military history translated, revised and rewritten by Benedikt S. Benediks (Cambridge, 1978).
16. Carr A. W., Popular Imagery. In *The Glory of Byzantium: Art and Culture of the Middle Byzantine Era A.D. 843-1261*. Ed. by H. C. Evans and W. D. Wixom (New York, 2006).
17. *The Earliest Norwegian Laws: Being the Gulathing Law and the Frostathing Law*. Translated from the Old Norwegian by L. M. Larson (New York, 1935).
18. Epstein A. W., *Tokali Kilise: Tenth-Century Metropolitan Art in Byzantine Cappadocia* (Washington, 1986).
19. Εύφορος, *Suda On Line*, tr. Catharine Roth, 6 August 2006. <http://www.stoa.org/sol-entries//epsilon//3802>.
20. Evison V., Sugar-Loaf Shield Bosses. *The Antiquaries Journal*, 43 (1963).
21. Fourteen Byzantine Rulers: *The Chronographia of Michael Psellus*. Translated, with an Introduction, by E. R. A. Sewter (London, 1966).
22. Gorelik M., Oriental Armour of the Near and Middle East from the Eight to the Fifteenth Centuries as Shown in Works of Art. In *Islamic Arms and Armour*. Ed. by R. Elgood (London, 1979).
23. Grotowski P. L., *Arms and Armour of the Warrior Saints: Tradition and Innovation in Byzantine Iconography (843-1261)* (Leiden, 2010).
24. Izikowitz K. G., Vendelsköldarna. *Fornvännen*, 26 (1931).
25. LaRocca D. J., *Warriors of the Himalayas: Rediscovering the Arms and Armor of Tibet* (New York, 2006).
26. Kolias T. G., *Byzantinische Waffen* (Wien, 1988).
27. Mortimer P., *Woden's Warriors: Warfare, Beliefs, Arms and Armour in Northern Europe during the 6th and 7th Centuries* (Little Downham, 2011).
28. Nicolaysen N., *The Viking Ship Discovered at Gokstad in Norway* (Christiania, 1882).
29. Nicolle D., The Monreale Capitals and the Military Equipment of Later Norman Sicily. *Gladius*, XV (1980).
30. Oosterhout R. G., *A Byzantine Settlement in Cappadocia* (Washington, 2005).
31. Pappas N. C. J., English Refugees in the Byzantine Armed Forces: The Varangian Guard and Anglo-Saxon Ethnic Consciousness. in *De Re Militari. Books, Articles and Dissertations on Medieval Military History* (2004). <http://www.deremilitari.org/resources/articles/pappas1.htm>.
32. Shepard J., The English and Byzantium: A Study of Their Role in the Byzantine Army in the Later Eleventh Century. *Traditio*, 29, 1973.
33. Short W. R., *Viking Weapons and Combat Techniques* (Yardley, 2009).
34. Suzek S., The Decoration of Cave Churches in Cappadocia under Selçuk Rule. MA Thesis, University of Notre Dame (Indiana, 2008).
35. *The Taktika Of Leo VI*. Text, Translation, and Commentary by George T. Dennis (Washington, 2010).

36. Tsamakda V., *The Illustrated Chronicle of Ioannes Skylitzes in Madrid* (Leiden, 2002).
37. Tsursumia M., The Evolution of Splint Armour in Georgia and Byzantium: Lamellar and Scale Armour in the 10th-12th Centuries, *Byzantina Symmeikta*, 21 (2011).
38. Tsursumia M., Тріблоло: A Byzantine Landmine, *Byzantium*, 82 (2012).
39. Аствацатуян Э. Г., *Турецкое оружие* (Санкт-Петербург, 2002).
40. Бобров Л. А., Худяков Ю. С. Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья. *Военное делоnomадов Северной и Центральной Азии* (Новосибирск, 2002).
41. Всеобщая История Степаноса Таронского, Асокика по прозванию, писателя XI столетия, Переведена с армянского и объяснена Н. Эминым (Москва, 1864).
42. Горелик М. В., Ранний монгольский доспех (IX – первая половина XIV в.). *Археология, этнография и антропология Монголии* (Новосибирск, 1987).
43. Горелик М. В., *Оружие Древнего Востока (IV тысячелетие – IV в. до н. э.)* (Санкт-Петербург, 2003).
44. Горелик М. В., Адыги в Южном Поднепровье (2-я половина XIII в. – 1-я половина XIV в.), *Материалы и исследования по археологии Северного Кавказа*, Вып. 3 (Армавир, 2004).
45. Горелик М. В., Халха-калкан (монгольский щит и его дериваты). “Восток-Запад”: диалог культур Евразии, Вып. 4 (Казань, 2004).
46. Древности Российского государства, Отделение III (Москва, 1853).
47. Кирпичников А. Н., *Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.* (Ленинград, 1971).
48. Опись Московской Оружейной палаты. Часть 3, Книга 2 (Москва, 1884).
49. Привалова Е. Л., *Роспись Тимотесубани: исследование по истории грузинской средневековой монументальной живописи* (Тбилиси, 1980).
50. Схатум Р.Б. Щит в комплексе вооружения оседлых племен Северо-Западного Кавказа в золотоордынский период. *Материалы и исследования по археологии Кубани*, 3, 2003
51. Схатум Р.Б. Защитное вооружение адыгов в золотоордынское время (вторая половина XIII-XIV вв.). *Военная Археология*, 2, 2011
52. Чубинашвили Г. Н., *Грузинское чеканное искусство* (Тбилиси, 1959).



სურ. 1. ტიბეტური ფარი. ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმი



სურ. 2. სვანური ფარი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ავტორის ფოტო



სურ. 3. სვანეთი ფარი მესტიის მუზეუმში. მ. ქაფიანიძის ფოტო



სურ. 4. წმ. გიორგი და წმ. თევდორე მრგვალი სადა ფარებით.  
მრავალძლის ხატი. თ. კიუნეს ფოტო




სურ. 5. ხიდისთავის წმ. გიორგი ნუშისებურ  
ფარზე ლითონის დანაკერებით.  
გ. ჩუბინაშვილის მიხედვით



სურ. 6. ლაშტხვერის წმ. გიორგის ხატი.  
გ. ჩუბინაშვილის მიხედვით



სურ. 7. ჯახუნდერის წმ. გიორგი.  
გ. ჩუბინაშვილის მიხედვით



სურ. 8. სეტის წმინდა გიორგის ხატი



სურ. 9. წმ. მეომრები ფარზე რადიალური  
სხივებით (მარცხნივ) და კონცენტრული  
წრეებით (მარჯვნივ). მურგმერის  
საკურთხევლისწინა ჯვარი, დეტალი.  
ს. სარჯველაძის ფოტო



სურ. 10. წმ. მხედარი ფარზე  
კონცენტრული წრეებითა და  
რადიალური სხივებით.  
ლანჩვანის საკურთხევლისწინა  
ჯვარი, დეტალი.  
გ. ჩუბინაშვილის მიხედვით



სურ. 11. წმინდა გიორგის ფარი  
გადაჯვარედინებული ლარტყებით.  
დ. ერმაკოვის ფოტო



სურ. 12. ჯარისკაცი მრგვალ ფარზე  
რადიალური სხივებით. ჯრუჭის II  
ოთხთავის 21v მინიატურა.  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



სურ. 13. ლაპილის წმ. დიმიტრის  
ფარი რადიალურად გამომავალი  
დიოთონის სხივებით.  
გ. ჩუბინაშვილის მიხედვით




სურ. 14. წმ. მეომრების ფრესკა  
ლიოთონის რადიალური სხივებით  
გამაგრებული მრგვალი ფარით.  
ტიმოთესუბნის მონასტერი.  
ს. სარჯელაძის ფოტო



სურ. 15. წმ. დიმიტრი ფარით,  
რომელზეც რადიალური სხივები  
კონცენტრულ წრებს ქმნის.  
საფარის მონასტრის ფრესკა.  
ავტორის ფოტო



სურ. 16. უფლის საფლავის მცველის ფარი.  
სვიფის წმ. გიორგის (ჯგრაგის) ეკლესიის  
დასავლეთი კედელი, დეტალი.  
გ. დემეტრაშვილის ფოტო



სურ. 17. მონადირეები მრგვალ  
ფარებზე რადიალური სხივებით.  
H1665 დავითნი, 195v მინიატურა.  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



სურ. 18. წმინდა დიმიტრი. ლაშტვერის  
მთავარანგელოზთა ეკლესიის ფრესკა.  
ს. სარჯველაძის ფოტო




სურ. 19. ამირანდარეჯანიანის სცენა.  
ლაშტვერის მთავარანგელოზთა ეკლესიის  
ჩრდილოეთი ფასადი, დეტალი.  
ს. სარჯველაძის ფოტო



სურ. 20. ვატიკანის ტრიპტიქი,  
წმ. თევდორე სტრატილატი  
რადიალური სხივებით  
დაყოფილი ფარით, დეტალი.  
*The Glory of Byzantium*



სურ. 21. წმ. დიმიტრი უმბონიძან  
რადიალურად გამომავალი  
ლითონის ზოლებიანი ფარით.  
ა. ბაბუინის ფოტო



სურ. 22. წმ. იერონის ფარი  
უმბონზე გადაჯვარედინებული  
ლითონის ლარტყებით.  
ა. ბაბუინის ფოტო



სურ. 23. დალატის სცენა კარსი  
ქილისეში. ა. ბაბუინის ფოტო




სურ. 24. დაგითის და გოლიათის  
ორთაბრძოლა. ვერცხლის სინი, დებალი.  
ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმი




სურ. 25. N1160 ფარი  
საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.  
ავტორის ფოტო




სურ. 26. წმ. ორესტეს ფარი.  
ა. ბაბუინის ფოტო




სურ. 27. ვალსგარდის VIII სამარხის  
I ფარი. გ. არგიდსონის მიხედვით



სურ. 28. ფარი თეტფორდიდან უმბონიდან  
გამომავალი რადიალური სხივებით.  
უ. ლეტიგის მიხედვით



სურ. 29. ავთანდილი კალკანით ხელში.  
„ვეზეისტყაოსნის“ თავაქარაშვილისეული  
ნუსხა, H599 ხელნაწერი, გვ. 319.  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



სურ. 30აბგ. იმერული კალქანები: ა. ალექსანდრეს III-ის ფარი,  
ბ. ბაგრატ IV-ის ფარი. ვ. სოლნცევის მიხედვით

MAMUKA TSURTSUMIA

### THE EVOLUTION OF THE SHIELDS REINFORCED WITH METAL IN THE MIDDLE AGES

The present article discusses shields reinforced with metal preserved in the museums of Georgia and particularly the evolution of these types in the Middle Ages. It is ascertained that shields reinforced with metal appeared in Georgia and Byzantium in the 11th century.

Presumably, it was the Nordic region, which influenced the Byzantine oikumene and caused such modification. In Northern Europe there was a long tradition of strengthening the shields with metal. Archaeological excavations revealed that attaching the metal parts to the shields had been typical for the Scandinavian and Germanic equipment since the 6th-7th centuries.

The spreading of Scandinavian shields in Byzantium should have been connected with the establishment of Varangian Guard at the end of the 10th century. Supposedly, the mass presence of Scandinavians in the empire made reinforced shields popular reflected in the representations of the 11th century. Beginning from the 10th century and, especially, in 11th century, the Georgians had frequent contact with the Scandinavian warriors, which would have facilitated the exchange of weaponry and the establishment of reinforced shields in Georgia.

The article rejects the notion that the Georgian shields were derivatives of the Mongolian shield kalkan and shows that kalkan spread in West Georgia only in 17th century from the Ottoman Empire.

According to the author, the shields reinforced with metal had existed in Georgia before the appearance of kalkan and had not been linked with the Mongol invasions. Moreover, the role of the Italian Black Sea colonies seems exaggerated in the dissemination of the reinforced shields in northern Caucasus and Golden Horde. Presumably, the reinforced shields were spread from the Byzantine Empire to Georgia, and then penetrated through the Caucasian Mountains in the North Caucasus (especially its north-western part), from where it was acquired by the Mongols of Golden Horde.